იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული ახალციხეში გინეკოლოგიური კლინიკისა და სკრინინგ-ცენტრის სამედიცინო აპარატურით უზრუნველყოფის პროექტის გახსნის ცერემონია

2017 წლის 22 მარტს, ქალაქ ახალციხეში გაიმართა ახალციხეში გინეკოლოგიური კლინიკისა და სკრინინგ-ცენტრის სამედიცინო აპარატურით უზრუნველყოფის პროექტის გახსნის ცერემონია, რომელიც განხორციელდა იაპონიის მთავრობის „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში. ცერემონიას დაესწრნენ იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი ტოშიო კაიტანი, საქართველოში ა.შ.შ.-ის საელჩოსა და მშვიდობის კოკორპუსის წარმომადგენლები, ადგილობრივი მთავრობისა და პროექტთან დაკავშირებული სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ამ პროექტმა უზრუნველყო სამედიცინო დიაგნოსტიკური აპარატურის მიწოდება ახალციხეში დემოკრატ ქალთა ორგანიზაციის კლინიკისათვის, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას აწვდის გინეკოლოგიურ და კიბოს სკრინინგის სერვისებს და საშუალებას მისცემს კლინიკას გაზარდოს პაციენტების რაოდენობა და გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი. ამ პროექტისთვის იაპონური გრანტის ოდენობა 89 242 ა.შ.შ. დოლარს შეადგენს. კლინიკის შენობის გარემონტებაში ასევე შეიტანეს წვლილი საქართველოში ა.შ.შ.-ის საელჩომ, მშვიდობის კორპუსმა და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.